ხაშურის მოამბე

№12 24 აგვისტო, ორშაბათი, 2015 წელი

ლიტვის ელჩი ხაშურში

ხაშურის მუნიციპალიტეტს ლიტვის რესპუბლიკის ელჩი საქართველოში, გიედრიუს პუოჯუნასი სტუმრობდა.

ვიზიტის ფარგლებში ლიტვის ელჩი მუნიციპალიტეტის გამგებელს, გიორგი გურასპაშვილს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ვაჟა შუბითიძეს და საქართველოს პარლამენტის წევრს, ხაშურის მაჟორიტარ დეპუტატ ვალერი გელაშვილს შეხვდა.

ელჩმა დაათვალიერა ის პროექტები, რომლებიც განვითარებისა და თანამშრომლობის ლიტვური პროექტის მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში წინა წლების განმავლობაში განხორციელდა. საპატიო სტუმარი ეწვია ხაშურის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკას, ლიტვის ბაღს, პირველ საბავშვო ბაღს და სხვ.

მუნიციპალიტეტის თანამდებობის პირებთან შეხვედრაზე სამომავლო პროექტების შესაძლებლობებიც განიხილეს.

გიედრიუს პუოჯუნასი ხაშურში პირველად იმყოფებოდა. იგი საქართველოში ლიტვის რესპუბლიკის ელჩის მოვალეობის შესრულებას გასული თვიდან შეუდგა.

სამუშაოები გრძელდება

ზაფხულის ცხელი დღეების მიუხედავად, ჩვენს მუნიციპალიტეტში მთელი ტემპით მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები. დღეს სამი მათგანის ამსახველ ფოტოებს გთავაზობთ. ზემო სურათზე სურამულას ნაპირსამაგრი სამუშაოებია დაფიქსირებული. ამ სამუშაოებს შპს „კავკასენერგო“ ახორციელებს და იგი რეგიონული განვითარების ფონდის მიერ 383 ათასი ლარითაა დაფინანსებული. ნავარაუდევია, რომ ოქტომბერში ეს პროექტი დასრულდება.

ქვემო სურათებზე სააკაძის და გაგარინის ქუჩების ჩიხებია, სადაც მოსახლეობა წლების მანძილზე განიცდიდა უკანალიზაციობას. ორივე პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება და პირველისათვის 6 ათასი, მეორისათვის კი 19 ათასი ლარია გამოყოფილი.

სოფელ ბრილში ხანძარი ლოკალიზებულია

ზაფხულის ცხელი დღეები, ხშირად ხანძრის მაპროვოცირებელიც ხდება. სამწუხაროდ, ვერც ჩვენი მუნიციპალიტეტი ასცდა ასეთ შემთხვევას და სოფელ ბრილში ხანძარმა საკმაოდ დიდი ფართობი მოიცვა. ხანძრის შედეგად 15 ჰექტარამდე მიწის ფართობი დაიწვა, ცეცხლი მინდორში გაჩნდა, შემდეგ ის ვენახებსა და ტყეში გავრცელდა. ადგილზე მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურის 11 ჯგუფი.

ცეცხლის ლოკალიზება მალე მოხერხდა. ხანძრის სავარაუდო მიზეზად ადგილობრივების დაუდევრობას ასახელებენ. ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა.

ხანძარსაწინააღმდეგო სამუშაოებს ადგილზე გაეცვნენ შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ რუსიშვილი და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები.

ტრენინგი ფერმერებისათვის

15-16 აგვისტოს ორდღიანი ტრენინგი გაიმართა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ბუღალტრული აღრიცხვების საკითხზე. სოფლის მეურნეობის სამინისტოსა და ფინანსთა სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უკვე მესამე წელია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის ფინანსთა სამინისტროს აკადემია ახორციელებს ტრენინგებს სამეურნეო საქმიანობის გამჭვირვალეობისა და საფინანსო-საგადასახადო საქმიანობის აღრიცხვისათვის. ტრენინგში მონაწილეობა მიიღეს ხაშურისა და ქარელის მოქმედმა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების წარმომადგენლებმა და მოქმედმა ხელმძღვანელებმა, ხაშურიდან 18, ქარელიდან 2-მა კოოპერატივის წარმომადგენელმა მიიღო მონაწილეობა. უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან დიდი იყო ინტერესი და აქტიურობა. კვალიფიციურმა ტრენერებმა გარდა თეორიული ცოდნისა, პრაქტიკული დანიშნულების რჩევებიც მისცეს კოოპერატივების წარმომადგენლებს. კოოპერატივის წევრებმა დიდი ინტერესი გამოიჩინეს აღნიშნული საკითხისადმი, რომელიც ძირითადად ეხებოდა საშემოსავლო, მოგების, ქონების, დამატებითი ღირებულების გადასახადებს, მათი არსსა და მნიშვნელობას, თუ რა ვალდებულებები და პასუხისმგებლობები გააჩნია კოოპერატივებს სახელწიფოს მიმართ.

განმარტეს, თუ როგორ უნდა მოხდეს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შემდეგ შექმნილი პროდუქციის ბუღალტრული აღრიცხვა. ასევე, დეკლარაციის საგადასახადო ვადებზე და მისი მონაცემების სრულყოფილად წარმოდგენაზე.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი:

– დიდი იმედი გვაქვს რომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო ცენტრები კვლავ ჩაგვიტარებს მსგავსი ტიპის ტრენინგებს დარგების მიხედვით, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული და ქართველი სპეციალისტებისგან დაკომპლექტებული, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი დარგის განვითარებისათვის.

სასოფლო-სამეურნეო შხამებთან მუშაობისას მკაცრად დავიცვათ უსაფრთხოების წესები

სოფლის მეურნეობისა და სურსათის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით მავნებლების, მცენარეთა ავადმყოფობებისა და სარეველების მიერ გამოწვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანაკარგები საკმაოდ დიდია

და აღწევს მოსალოდნელი პოტენციური მოსავლის 35%-ს, ანუ, მავნე ორგანიზმები სპობენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული ყოველი მესამე კაცის შრომის შედეგს. მავნე ორგანიზმებისაგან მცენარეთა დაცვა გულისხმობს სხვადასხვა მეთოდისა და ხერხის ერთობლიობას რომელიც ორგანულადაა შერწყმული ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოვლის აგროტექნიკასთან; არჩევენ მცენარეთა დაცვის საკარანტინო, აგროტექნიკურ, მექანიკურ, ფიზიკურ, სელექციურ, ბიოლოგიურ, ბიოტექნიკურ და ქიმიურ მეთოდებს.

ამჟამად ფართოდაა გავრცელებული

მავნე ორგანიზმებთან ბრძოლის ქიმიური მეთოდი, რომელიც მომავალშიც კვლავ დარჩება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მაღალი დონის შენარჩუნების ერთადერთ ხერხად და მას ჯერჯერობით ალტერნატივა არ გააჩნია.

ბრძოლის ქიმიური მეთოდი ისეთი ღონისძიებაა, როდესაც ქიმიური შენაერთი, თავისი თვისებებისა და სათანადოდ გამოყენების დროს ეფექტურად მოქმედებს მავნებლებზე, დაავადებებზე და სარეველებზე.

მცენარეთა ქიმიური დაცვის საშუალებების საერთოდ მიღებული სახელია პესტიციდები. არასწორი მოხმარების შემთხვევაში, ქიმიური ნივთიერებები საფრთხეს უქმნიან ადამიანის ჯანმრთელობას, მათ უარყოფითი გავლენა აქვთ თბილსისხლიან ცხოველებსა და სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე.

თუ გვსურს, რომ პესტიციდმა მოგვცეს სასურველი ეფექტი, მკაცრად უნდა დავიცვათ შხამქიმიკატების შენახვისა და გამოყენების წესები, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №451 დადგენილებით. წესები განკუთვნილია ყველა მეწარმისა, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის.

პესტიციდების სავარუდო მომხმარებელი - გლეხი, ფერმერი ვალდებულია, დაადგინოს მავნებლის ან დაავადების საზიანო მოქმედების სპექტრი. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია კონსულტაციისათვის მივმართოთ მცენარეთა დაცვის სპეციალისტს.

ნათესების, ნარგაობათა და სხვა ობიექტების ქიმიური დამუშავება ხდება მათი წინასწარი დათვალიერების და მცენარეთა დაცვის სპეციალისტის მიერ დამუშავების მიზანშეწონილობის შესახებ გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე.

მცენარეთა ქიმიური დამუშავებისათვის უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ „სახელმწიფო კატალოგით“ ნებადართული პესტიციდები.

მომხმარებელი დარწმუნებული უნდა იყოს იმაში რომ მის მიერ შეძენილი პესტიციდი ნამდვილად წარმოადგენს სპეციალისტის მიერ შერჩეულ პრეპარატს. ტარაზე, სადაც მოთავსებულია პესტიციდი, უნდა იყოს მიკრული ეტიკეტი პრეპარატის სავაჭრო დასახელების, მოქმედი ნივთიერებისა და მისი კონცენტრაციის, მოხმარებისა და უსაფრთხოების წესების მითითებით. არ შეიძლება დაზიანებულ ტარაში, საეჭვო ჭურჭელში მოთავსებული პესტიციდის შეძენა.

პესტიციდები აუცილებლად უნდა ინახებოდეს მშრალ, სინათლისგან დაცულ, კარგად ვენტილირებად დახურულ შენობაში, წყლისა და კანალიზაციის სისტემებისგან მოშორებით, კვების პროდუქტების, მედიკამენტების, ცხოველთა საკვების, ოჯახური ქიმიური საშუალებებისგან განცალკევებით, ბავშვებისათვის მიუწვდომელ ადგილზე.

პესტიციდების გამოყენებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დოზირებას, სამუშაო ხსნარების ხარჯვის ნორმას და დამუშავებათა ჯერადობას; პესტიციდების გამოყენება ხდება რეკომენდირებულ ვადებში, დასაცავი მცენარეებისა და მავნე ორგანიზმების ბიოლოგიის გათვალისწინებით.

განსაკუთრებით მკაცრად უნდა იქნეს დაცული მოსავლის აღების წინა (ბოლო) დამუშავების დრო ანუ ლოდინის პერიოდი.

პესტიციდების გამოყენებასთან დაკავშირებული სამუშაოების შესახებ ფერმერები აკეთებენ ჩანაწერებს.

პესტიციდებით ყველა სამუშაო უნდა ჩატარდეს დილით ადრე ან საღამოს საათებში, ღრუბლიან ან გრილ ამინდებში, როგორც გამონაკლისი, შესაძლებელია მათი გამოყენება დღის საათებშიც.

პირები, რომლებიც ახორციელებენ ამ სამუშაოებს, უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით.

სამუშაო ხსნარების მომზადების წინ აუცილებელია შემოწმდეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის - შემასხურებელი მანქანების და აპარატურის სისუფთავე და მზადყოფნა. უნდა მომზადდეს ხსნარის ის რაოდენობა, რაც საჭიროა ერთი წამლობის ჩასატარებლად. სამუშაო ხსნარი მზადდება უშუალოდ შეწამვლის წინ, თითოეული პრეპარატი ცალ-ცალკე გაიხსნება მცირე მოცულობის სუფთა წყალში და ჩაისხმება ნახევრად შევსებულ რეზერვუარში განუწყვეტელი მორევით, შემდეგ ხდება რეზერვუარის შევსება ნორმამდე.

მოხმარების შემდეგ ყველა ხელსაწყო და მოწყობილობა კარგად უნდა გაირეცხოს; გამოყენებული პრეპარატის ცარიელი ტარის უტილიზაცია ხდება შესაბამისი ინსტრუქციის მიხედვით.

მცენარეთა დაცვის საშუალებები ადამიანზე ზემოქმედებას ახდენენ უშუალოდ სხეულთან კონტაქტის დროს ან ორგანიზმში შეღწევით. მოწამვლის თავიდან ასაცილებლად უნდა დავიცვათ სიფრთხილის აუცილებელი ზომები. არ ჩავატაროთ წამლობა ქარიან ან ცხელ ამინდში, არ დავუშვათ წამლობის ადგილზე ბავშვები და უცხო პირები. მუშაობის დროს აკრძალულია თამბაქოს მოწევა, საკვებისა და წყლის მიღება.

მუშაობის დასრულების შემდეგ უნდა გაირეცხოს გამოყენებული ტანსაცმელი, პერსონალმა გულდასმით უნდა დაიბანოს ხელები საპნით და წყლით. მოწამვლის შემთხვევაში აუცილებელია პირველადი დახმარების აღმოჩენა და ექიმის გამოძახება.

პესტიციდებთან სამუშაოდ არ დაიშვებიან 18 წლამდე ასაკის პირები, ფეხმძიმე და მეძუძური ქალები.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება, უზრუნველვყოთ სოფლის მეურნეობაში შხამქიმიკატების ეფექტიანი, ეკონომიური და უსაფრთხო გამოყენება, დავიცვათ გარემო დაბინძურებისაგან და დავიცვათ საკუთარი უსაფრთხოება.

ავთანდილ გოგალაძე
სოფლის მეურნეობის სამინისტროს
ხაშურის მუნიციპალიტეტის
საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი

გადავაქციოთ ხაშური სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად!

უბრალო ადამიანები, რომლებსაც უყვართ, უვლიან და ალამაზებენ ხაშურს

ცისკრის ვარსკვლავი ისევ ღორინამკლის თავზე კიდია, აისი კი თრიალეთის ღარტაფებიდან ქალაქისკენ მოიპარება.. ქალაქი დილის ბინდ-ბუნდშია გახვეული და ღრმა ძილით ძინავს. მატარებელმა „ბათუმი-თბილისი“ გორათთან მძლავრად შემოჰკივლა. ვაგონებში ერთი ფაცა-ფუცი ატყდა, ხაშურია, ხაშური... ხმამაღლა აცხადებს გამცილებელი. მატარებელი კი უკვე ხაშურის ბაქანზე დგას და მგზავრებისგან იცლება.

მე და ჩემი თანამგზავრი, ბათუმელი სტუმარი ბაქანზე გამოვდივართ. მე ტაქსს დავუწყე ძებნა.

–არა, ძმაო. რა ტაქსი, რის ტაქსი, თუ კაცი ხარ ფეხით გამატარე თქვენს ქალაქში. ეს შესანიშნავი, ბროლივით გამჭვირვალე და წყაროს წყალივით კამკამა ჰაერი მასუნთქე. ხედავ, ჰაერი ბროლის კრისტალებითაა გაძეძგილი. ამის პატრონს რა მოკლავს! – პათეტიკურად წამოიძახა ჩემმა სტუმარმა და ჰაერი ისე ღრმად ჩაისუნთქა, რომ მკერდი ბურთივით გამოუვარდა წინ.

–აქეთ, აქეთ, გავძახე სტუმარს, პროფესორ კარლო ცომაიას და მომღერალი შადრევნის სკვერით ცენტრალურ მოედანზე გავიყვანე. ეს არის ჩემი ქალაქის გული, ჩემო კარლო, მე აი, იმ შენობაში ნახევარ საუკუნეზე მეტია ვმუშაობ, ჩემი მეორე სახლია, იქ რაიონის მუნიციპალიტეტია განლაგებული, რუსთაველის გაჩახჩახებულ ქუჩას კი ისევ სძინავს, არავითარი მოძრაობა, სრული სიჩუმე და სიწყნარეა. აი, ეს, ჩემო ბატონო, ომის ვეტერანთა სახელობის სკვერია. იქაც სრული სიბნელეა, სკვერში ციცინათელები დაფრინავენ. ნუთუ მართლა ციცინათელებია, ჩავეკითხე ჩემს სტუმარს. ციცინათელა და ამოდენა, გაიკვირვა კარლომ. შუქი სკვერის ერთი კუთხიდან მეორისკენ გადაადგილდებოდა. ციცინათელა კი არა, ვიღაც ელექტრონათურით ხელში დადის სკვერში, მის ყველა კუთხე-კუნჭულს ჩხრეკს, ათვალიერებს. ვინ უნდა იყოს? სტუმარმა ხელით გამწია და მითხრა,: –წამო, თუ ძმა ხარ, ალბათ ვიღაც ბომჟია და ეტყობა, სიგარეტის მოკიდებას ცდილობსო.

ჩაბნელებული სკვერი უცებ აინთო, ირგვლივ ყველაფერს ნათელი მოეფინა. ლამაზ გარნიტურებზე დაკიდებული ბრები მსუბუქ ნისლში დილის ცვარნამივით გამოეკიდნენ ჰაერში და იქაურობა კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა.

–ვინ ბრძანდებით, – ეკითხება კარლო სკვერში მოფუსფუსეს, ქალბატონს.

–მე, ბატონო ჩემო, აიპ „სავანეს“ თანამშრომელი ვარ. ქალაქის ცენტრალურ სკვერებს ვპატრონობ, ვასუფთავებ, ვუვლი. ეს – ეს არის პოლიციის შენობის მიმდებარე და წმინდა ნინოს სახელობის სკვერში მოვაწესრიგე-დავასუფთავე და ახლა აქ მოვედი. აქედან სხვაგან გადავალ, ისე, რომ 8 საათისთვის ქალაქის ყველა ცენტრალური სკვერი და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები ხაშურლებს ყოველმხრივ მოწესრიგებული უნდა დავახვედრო, რომ მათ დილაადრიან გუნება-განწყობა არ გავუფუჭო.

–აი, ადამიანი, ასეთი პიროვნებით ყველა ქალაქი იამაყებდა! – თავისი მოსაზრება დააფიქსირა ჩემმა სტუმარმა და კეთილად გამიღიმა.

–მაინც ვინ არის ეს ქალბატონი, თავის თავზე რომ არაფერი გვითხრა? – დაინტერესდა სტუმარი.

–ახლავე დაგიდგენ, ჩემო კარლო, თუ ასე გსურს იცოდე ვინ არის ის ქალბატონი.

–მე კი არა, შენ უნდა გაინტერესებდეს რედაქტორო, თქვენ უნდა ეძებდეთ და პოულობდეთ ქალაქზე შეყვარებულ უბრალო ადამიანებს, რომლებიც დიდი ენთუზიაზმითა და შემართებით გემსახურებიან თქვენ – ხაშურლებს, – დამმოძღვრა პროფესორმა.

–მიღებულია თქვენი შენიშვნა, ბატონო პროფესორო...

ვთქვი და მობილური მოვიმარჯვე. „სავანეს“ ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი „გამოვიჭირე“ და ჩვენი თხოვნა გადავეცი.

–რაშია საქმე, აღელვება შეეპარა ხმაში უნებლიე რესპოდენტს.

–ყველაფერი რიგზეა, კარგ საქმეს წავაწყდი ამ დილაუთენია და ღირს ამის გამო ორიოდე სიტყვით მოვეფერო და შევაქო თქვენი მუშაკი, რომელსაც ახლა ვესაუბრებით.

–ეგ ქალბატონი, ბატონო რედაქტორო, ლია შამათავაა, ჩვენი კოლექტივის ღირსეული წევრი. უაღრესად შრომისმოყვარე და დისციპლინიანი პიროვნებაა. ყველა ცენტრალური სკვერი, დღეს ასე მომზადებულად რომ გამოიყურება, მისი დამსახურებაც არის. იგი აქტიური საზოგადოებრივი პიროვნებაც არის, კოალიცია „ქართული ოცნების“ აქტიური და ერთგული წევრია.

ლ. შამათავა სენაკიდან არის წარმოშობით, ამ ოცდაათიოდე წლის წინ იგი ხაშურში ჩამოვიდა და, საბედნიეროდ, ცნობილი იურისტის, რაიონის პროკურორის შალვა ბეჟუაშვილის ოჯახში მოხვდა. აქედან იწყება მისი ხაშურული ოდისეა.

იგი პროფესიით ბუღალტერია, მაგრამ ფიზიკურ შრომას არ თაკილობს. ოჯახი თავისას მოითხოვს. ერთი ვაჟი ჰყავს – რამაზი, ცოლ-შვილიანია, დედას ორი შვილიშვილი, ორი ლამაზმანი აჩუქა. რამაზი ფოთში ცხოვრობს, ის ფოთის პორტის დიდი კოლექტივის ღირსეული და დაფასებული წევრია. ლია მათით ხარობს და მთთვის შრომობს თავდაუზოგავად.

ლია, როგორც ყველა მეგრელი ქალბატონი, შესანიშნავი დიასახლისი და ქართული კერძების დიდოსტატია.

მას ისევე უყვარს ხაშური, როგორც მშობლიური სენაკი, სადაც მისი სანათესაო ცხოვრობს. იგი კარგ ლექსებსაც წერს და როგორც ვიცი, მშობლიური რაიონის გაზეთებიც აქვეყნებს მათ.

გასაგებია, რომ იგი ასეთი პიროვნებაა, რომელიც ყველა შრომით კოლექტივს დაამშვენებს და ასახელებს.

„სავანეს“ არაერთი ასეთი შრომისმოყვარე და ქალაქზე შეყვარებული თანამშრომელი ჰყავს. ერთ-ერთი ასეთია ომარ ლაცაბიძე, რომელსაც პატივისცემის და სიყვარულის ნიშნად „ლომას“ ეძახიან, იგი შრომაში მართლაც ლომია, ისეთი ხელმარჯვეა, რომ მისი ხელიდან ყველაფერი გამოდის, გამოცდილი საქებარი მუშაკია, მის გარეშე ამ პატარა და შრომისმოყვარე კოლექტივში (დირექტორი შოთა კოპაძე), მის გარეშე თითქმის არაფერი კეთდება. სადაც დიდი და სასწრაფო საქმეა, ლომაც იქ არის თავისი დიდი კაცობითა და მოუღალავი მარჯვენით.

რ. სუხიაშვილი

ისტორიული მხიბვნელობის კვანძი

საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კურორტის დასავლეთ კარიბჭესთან წარმოქმნილია გზათა და მდინარეთა თავშეყრის შესანიშნავი კვანძი.

აქ, იტრიის დასაწყისში, ერთიანდებიან ქვეყნის ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი თბილისი-სენაკი-ლესელიძე და კურორტის ცენტრში გამავალი, აგრეთვე ყოფილი მთავარი გზა.

თავისი შორეული წარსულით და ისტორიული კატაკლიზმებით ეს პატარა ადგილმდებარეობა მნიშვნელოვანია, რადგან ამ კომპლექსთან ერთურთს ეჯრის ორი, პირდაპირი გაგებით, ფრიადმნიშვნელოვანი მდინარე: – სურამულა და შუქდელე, რომელნიც სათავეს იღებენ ქვეყნის აღმოსავლეთ და დასავლეთად გამყოფი სურამის ქედის აღმოსავლეთი კალთიდან. ისიც საყურადღებოა, რომ ამ ორი მდინარიდან შუქდელის აუზი უტოლდება სურამულის აუზს და წყალთა სიუხვის თითქმის თანაბარი რაოდენობით ერთიანდებიან ამ კვანძში. მერე კი შორს, რაიონის აღმოსავლეთ ნაწილში „ამდიდრებენ“ საქართველოს დედა-მდინარე მტკვარს, მისი მარცხენა შენაკადით.

ზუსტად ამ ორი მდინარის შესაყარში აგებულია (და აღდგენილია) XIII საუკუნის ეკლესია თავისი პატარა, მაგრამ ულამაზესი შიგთავსით, რომელიც წმ. დიდმოწამე მარინეს სახელს ატარებს. აქ აღევლინება რელიგიური ხასიათის ყველა სახის რიტუალები: ლოცვები, ნათლობები, ჯვრისწერები და ა.შ. აქვე, ეკლესიიდან ოციოდე მეტრში, აგებულია საჯარო სკოლა, რომელიც თავისი არსებობის მე-2 საუკუნეს მიუყვება. მისი დამაარსებელი და პირველი დირექტორი (ხელმძღვანელი) ყოფილა XIX საუკუნის მიწურულს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ქრისტეფორე III (ციცქიშვილი). საყურადღებოა, რომ ეს პატარა ეკლესია მოინახულა და მოილოცა XX საუკუნის მიწურულს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II (შიოლაშვილმა).

ამ პატარა კვანძი-კომპლექსის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ როდესაც დამპყრობ თათარ-მონღოლთა ურდო შეუპოვრად მიიწევდა ევრაზიის დასავლეთის ქვეყნებისკენ და იქნა რა აღებული მათ მიერ აღმოსავლეთ საქართველო, დიდი ივანე ჯავახიშვილი თავის ისტორიულ ნაშრომებში აღნიშნავს, რომ „შემოვიდა მონღოლთა ლაშქარი და დადგა სურამს“. ისმის კითხვა: სად, სურამის რომელ ადგილს დადგა ლაშქარი? – ალბათ ყველას ჰგონია, რომ დადგა იქ, სადაც ახლა სურამის ციხეა, მაგრამ ჩვენი სარწმუნო ვარაუდით, ეს ასე არ არის. ფაქტობრივად, მონღოლთა ლაშქარმა დაიკავა ზემოთ ნახსენები ორი მდინარის შენაკადის ადგილი, რადგან ლაშქარს გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს მთელი ტერიტორიის აღება და დასავლეთში გადასვლა. მცდელობა შეუსრულებელი აღმოჩნდა, რადგან დაბურულმა ტყემ და გაუვალმა ტევრმა, რომელიც ამ მდინარეთა შესართავიდან იწყებოდა, მათ ამის საშუალება არ მისცა, და კიდევ, მონღოლთა დიდ ლაშქარს ესაჭიროებოდა სასმელი და საკვები საშუალებები. ეს ორი მდინარე კი თავისი სისუფთავით და ანკარა წყარო-ნაკადულებით სრულიად პასუხობდა მოთხოვნებს. ამავე დროს, როგორც დიდი გეოგრაფოსი და კარტოგრაფი ვახუშტი აღნიშნავს, ამ მდინარეთა ტყით დაბურული კანიონები მდიდარი იყო ხილითა კეთილითა კაკლითა, წაბლითა, თხილითა, მაჟალო-პანტითა, ამასთან ნადირ-ფრინველითა, მდინარენი სავსენი თევზითა, კალმახ-ქაშაყითა, საკვებითა და სათბობითა.

ერთი სიტყვით, სურამის გარეუბნის ამ პატარა ადგილზე დასცეს ბანაკები და თარეშობდნენ მონღოლნი მანამ, ვიდრე არ აღიმართა მათ წინაშე მეფე გიორგი ბრწყინვალეს ძლევამოსილება. აქ დაინიშნა მათ მიერ შექმნილი ქართლის დუმნის ხელმძღვანელად გრიგოლ სურამელი, ხოლო, რამდენადაც მათ ვერ შეაღწიეს დასავლეთ საქართველოში, პირობითად შექმნილი დუმნის ხელმძღვანელად დანიშვნის შესახებ შეტყობინება აახლეს ცოტნე დადიანს.

ამრიგად, სურამსა და მის ამ პატარა კუთხეს უაღრესად დიდი ისტორიული წარსული გააჩნია.

დასასრულ გვინდა, აღვნიშნოთ იმ მცირე ცდომილებებზე, რაც ამ კვანძს უკავშირდება. აწარმოეს რა მდინარე შუქდელეზე არსებული დაზიანებული მონოლითური რკინა-ბეტონის ხიდის რეაბილიტაცია, ხიდის ორივე მხარეს დააყენეს მაჩვენებელი ნიშანი „„სურამულა“, რაც ტყუილია და შესასწორებელია. ასევე, არასწორად დასვეს სოფლის მაჩვენებელი ნიშანი – „იტრია“, რაც არასწორია, ჯერ ერთი, აქედან იწყება სოფელი ბუღაურა და სკოლაც ბუღაურის ტერიტორიაზე მდებარეობს, ნიშანი კი არამართებულადაა დაყენებული, რადგან ჯერ კიდევ ყოფილ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, სოფლები: ბუღაურა, იტრია, ჩუმათელეთი, ურთხვა, ზეკოტა და ასე შემდეგ მიერთებულია სურამთან და მათი სახელწოდების დაწერა და დაყენება არასწორია, ნიშანი – „სურამის“ დაყენების ადგილიც არამართებულია, აქედან გამომდინარე, ეს პატარა ისტორიული მნიშვნელობის კვანძი გადაიტვირთა „ტყუილებით“, რაც უახლოეს მომავალში აუცილებლად უნდა გასწორდეს.

იუზა გელაშვილი,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

გაცრეცილი ფოტოები

დღეიდან ახალ რუბრიკას ვთავაზობთ მკითხველს – „გაცრეცილი ფოტოები“. ეს ფოტოსურათები რედაქციის არქივმა შემოინახა, არქივმა, სადაც დაცული ფოტოები ზოგი საუკუნესაც კი ითვლის, თუმცა, არც აქვს დიდი მნიშვნელობა, როდის არის გადაღებული. ყველა მათგანი ჩვენი ისტორიაა და კარგად ასახავს იმ ეპოქას, იმ წლების რეალობას, როდესაც ისინი დაფიქსირდნენ. ამდენად, რა თქმა უნდა, თითოეული მათგანი საინტერესოა. დღეს სამ ფოტოს გთავაზობთ. პირველზე სამი ომგამოვლილი ახალგაზრდაა გამოსახული. სამამულო ომი ახალი დამთავრებულია და ომგამოვლილი და გამარჯვებული ვაჟკაცები უკვე სახლში დაბრუნდნენ. ალბათ გამარჯვებასაც აღნიშნავენ. საბედნიეროდ, სურათს წარწერა ახლავს და, ამდენად, მათი გვარ-სახელები ვიცით: ვასილ ჯავახიშვილი, ალექსანდრე ნოზაძე და ლოლიკ ლეიმანი, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი ცნობადობა აქ წყდება. თუ მკითხველი ან ნათესავი ამოიცნობს მათ ახლობელს, და მოგვაწვდის ინფორმაციას, ჩვენ სიამოვნებით მოგითხრობთ მათზე უფრო დაწვრილებით. მეორე ფოტო გასული საუკუნის 80-იან წლებშია გადაღებული და მასზე საპირველმაისო დემონსტარციაა ასახული. მართლაც საინტერესო რამ იყო ეს დემონსტრაციები. მთელი მსვლელობის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ტრიბუნაზე შებრძანებული პარტიული ბოსებისთვის თავი დაეკრათ, ან ხელი დაექნიათ და მორჩა... ეს იყო სულ. არადა ამ დემონსტრაციისთვის კვირაობით ამზადებდნენ მუშებს. ჯერ იყო და ფეხი არ უნდა შეშლოდათ და მარშის მსგავსი მსვლელობით ევლოთ (ეს რაღა უბედურება იყო!), მერე პოლიტბიუროს წევრების (ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ ყველას) უზარმაზარი სურათების თრევით წყვეტდნენ წელს. მოკლედ, ძალიან სულელური რამ იყო, მაგრამ იყო და ეს ჩვენი ისტორიაა. მესამე ფოტოზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ჯუმბერ პატიაშვილის ხაშურში სტუმრობის ეპიზოდია. იგი, ხაშურის რაიკომის პირველ მდივანთან – ირაკლი ჯიქურაშვილთან ერთად შუშის ქარხანას ათვალიერებს. ძალიან საინტერესო სახე აქვს ამხანაგ ჯუმბერს. რას უყურებს, რას მისჩერებია, რა უნდა დაინახოს ამ ბოთლში? მაგრამ პირველი მდივანი ხომ „ყველაფრისტი“ უნდა ყოფილიყო და, რა თქმა უნდა, ბოთლსაც მასზე უკეთესად ვერავინ შეაფასებდა. ალბათ, მისცა კიდეც შენიშვნა – ძირი ოდნავ სქელი მეჩვენებაო ან ამდაგვარი... მოკლედ, ხუმრობა იქით იყოს და ესეც ჩვენი ისტორიაა.

სკაუტურმა ბანაკმა ბევრი რამ ასწავლა ახალგაზრდებს

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, "რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში, "საქართველოს სკაუტური

მოძრაობის ორგანიზაციასთან" ერთად, განხორციელდა 250 კაციანი ერთობლივი საზაფხულო სკაუტური ბანაკი გორის მუნიციპალიტეტში, ატენის ხეობაში.

ბანაკში იმყოფებოდნენ წარმომადგენლები ჩვენი მუნიციპალიტეტიდანაც. ახალგაზრდები ჩართული იყვნენ სხვადასხვა აქტივობებში და პროექტის ფარგლებში მიიღეს ლიდერობისა და პიროვნული განვითარების, სამოქალაქო და გარემოს დაცვის, ბუნებაში ორიენტირებისა და თვითგადარჩენის შესაბამისი განათლება.

სურამში, რუსიას ქუჩა დიდი ხანია ითხოვდა რეაბილიტაციას. სამწუხაროდ, ამას წლების მანძილზე არ დაადგა საშველი. წელს კი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ინიციატივით, ეს პრობლემა მოგვარდა და რუსიას ქუჩა მთელს სიგრძეზე კეთილმოეწყო. კანალიზაცია აქ გასულ წელს გაკეთდა, ახლა კი ქუჩა ასფალტითაც იწონებს თავს.

მოსახლეობის დაცული არჩევანი

სურსათის ეროვნული სააგენტო რძის პროდუქტებზე რეგულაციებს ამკაცრებს

ჩვენი სამომხმარებლო ბაზარი უამრავი დასახელების პროდუქციას გვთავაზობს, რომელთა დიდი ნაწილი არათუ არ პასუხობს სანიტარულ ნორმებს, ხშირად ადამიანთა ინტოქსიკაციისა და გარდაცვალების მიზეზიც კი გამხდარა. ადამიანის ჯანმრთელობა უპირველესია,რომელიც ჯანმრთელ კვებასთან, ნატურალური,ვიტამინებით მდიდარი და სასარგებლო საკვების მიღებასთაანაა ასოცირებული. მომხმარებელი უნდა იყოს დაცული,უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა,თვითონ გადაწყვიტოს,რა ღირებულების, რა შემადგენლობის პროდუქტი შეიძინოს. ამაში კი მათ,გარდა თვითშეგნება, სახელმწიფო რეგულაციებიც ეხმარება, რომელიც ეტიკეტზე სრულად მიუთითებს პროდუქციის შემადგენლობას,ვარგისიანობის ვადებს,ენერგეტიკულ ღირებულებას თუ სხვა ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვან ინფორმაციას. განსაკუთრებული კონტროლი რძისა და რძის პროდუქტებზე მიმდინარეობს.

რამდენად კონტროლირდება დღეს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარი და,შესაბამისად, რამდენად დაცულია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა,რამდენად მნიშვნელოვანია ცხოველთა და მცენარეთა სიჯანსაღე სურსათის უვნებლობის უზრუნველსაყოფად და რას აკეთებს სურსათის ეროვნული სააგენტო იმისთვის,რომ დაიცვას საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობა საშიში სურსათისაგან, ამაზე სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს სპეციალისტი ხათუნა ქიტიაშვილი ისაუბრებს:

-ქალბატონო ხათუნა, რამდენად დაცულია დღეს მოსახლეობა საკვებად უვარგისი პროდუქციის შეძენის ალბათობისაგან, თუ აწარმოებს შემოწმებას სურსათის უვნებლობის სამსახური და რა უნდა ვიცოდეთ ხორცპროდუქტების შეძენასა და სასაკლაოებზე არსებულ ჰიგიენურ ნორმებზე?

–სურსათის ეროვნული სააგენტო ჯანმრთელობისათვის საშიში სურსათისა დასაწარმოებში არასათანადო პირობების გამოსავლენად, მუდმივ მონიტორინგსა და ინსპექტირებას ატარებს. ივნისში სურსათის უვნებლობის სააგენტოს სპეციალისტებმა საქართველოს მასშტაბით, აიღეს და ლაბორატორიას გადაუგზავნეს სურსათის 447 ნიმუში, კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ 66 ნიმუში არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს. სალმონელას კვლევა ჩატარდა 47 ნიმუშში, თუმცა დარღვევა არ გამოვლენილა: ცხოველური წარმოშობის სურსათის 84 ნიმუშიდან დარღვევა გამოვლინდა 31 ნიმუშში. კვლევა ჩაუტარდა სასმელი წყლის (მათ შორის დაფასოებულს) 146 სინჯს. დარღვევა გამოვლინდა მხოლოდ 27 სინჯში. ალკოჰოლური სასმელის 47 ნიმუშიდან კი 5-ში.

ხორცისა და ხორცპროდუქტების შეძენისას მნიშვნელოვანია, მომხმარებელმა იცოდეს, რამდენად უსაფრთხოა ხორცი, რომელსაც ყიდულობს. ამისათვის, სასაკლაოებზე ხორციელდება ვეტერინარული ზედამხედველობა და მოწმდება, როგორც ცხოველისა და ფრინველის ჯანმრთელობის მდგომარეობა, ასევე სასაკლაოზე არსებული ჰიგიენურ-სანიტარული პირობები.

ივნისში,სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით,ვეტერინარული ზედამხედველობა განხორციელდა 19 152 მსხვილფეხა,წვრილფეხა პირუტყვისა და ღორის, ასევე 21 686 ფრინველის დაკვლაზე. სურსათის ეროვნული სააგენტოს მუდმივი მონიტორინგის მიუხედავად, სამწუხაროდ, დახლებზე ისევ გვხდება ვადაგასული სურსათი. მარტო ივნისის თვეში ამოღებული და განადგურებულია 450 კგ ხორცი და ხორცპროდქტები, 178 ცალი კვერცხი, 290 კგ-მდე მყარი და 180 ლ-მდე თხევადი სურსათი. საქართველოს მასშტაბით ჩატარდა 530 ინსპექტირება, რომლის დროსაც გამოვლენილი შეუსაბამობების გამო, დაჯარიმდა 41 ბიზნესოპერატორი, 8-ს კი საწარმოო პროცესი შეუჩერდა. ეს პროცესი მთლიანად საქართველოს მასშტაბებს მოიცავს, რადგან ადგილობრივი და შემოტანილი პროდუქცია,ყველა რეგიონს მიეწოდება და ნაწილდება.

–როგორც ჩემთვისაა ცნობილი, შეიცვალა და შესაბამისად, გამკაცრდა რძისა და რძის პროდუქტებზე ტექნიკური რეგლამენტი, რაც უფრო დაცულს ხდის მომხმარებელთა ინტერესებს.

–2015 წლის 1 აგვისტოდან ძალაში შედის საქართველოს მთავრობის 2015 წლის 3 აპრილის №152 დადგენილება " რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე", რომელიც მიზნად ისახავს რძისა და რძის ნაწარმის, რძის შემცველი პროდუქტის წარმოების, გადამუშავებისა და დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას და მომხმარებელთა უფლებების დაცვას.

მთავრობის ამ რეგულაციის მიხედვით, სურსათის ეტიკეტზე დასახელება რძე, მშრალი რძე (რძის ფხვნილი), არაჟანი, მაწონი, ხაჭო, კარაქი და სხვა, გამოყენებული უნდა იყოს მხოლოდ რძის ნაწარმზე, თუკი რძისა და რძის ნაწარმის შემადგენლობაში დამატებული იქნება მცენარეული ცხიმები,ასეთი სურსათის შეფუთვაზე უნდა დაიწეროს რძის შემცვლელი პროდუქტები,მაგალითად კარაქისებრი ან კარაქის მსგავსი,არაჟნისებრი ან არაჟნის მსგავსი.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ივლისის № 342 დადგენილებით, რძისა და რძის ნაწარმის შესახებ ტექნიკურ რეგლამენტში შესული ცვლილებებით კი განისაზღვრა ტერმინი "მაწონი", ეს არის ქართული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტი, რომელიც მიიღება ძროხის, კამეჩის, თხის, იშვიათად ცხვრის აღდგენილი, ნორმალიზებული და პასტერიზებული რძის ან მათი ნარევის შედეგებით. დასახელებას "მაწონი" შეიძლება დაემატოს საწყისი რძის მინიშნება-ძროხის, თხის, კამეჩის ან ცხვრის-იმშემთხვევაში, თუ გამოყენებული რძის წილი ნარევში 85%-ს აღემატება.

2016 წლის პირველ აგვისტომდე დასაშვები იყო რძის შემცველი პროდუქტების ეტიკეტზე რძისა და რძის ნაწარმის დასახელების გამოყენება სიტყვა "მსგავს"-თან ანდა, ბოლოსართ "ებრ"-თან ერთად. მაგალითად: რძისებრთან ან რძის მსგავსი, არაჟნისებრთან ან არაჟნის მსგავს. ამ ვადისგასვლის შემდეგ კი რძის შემცვლელ პროდუქტებზე რძის ნაწარმის აღმნიშვნელი ტერმინების (არაჟანი, კარაქი, რძე) გამოყენება აიკრძალება.

–გარდა რძის პროდუქტებისა, რეგულაციები შეეხო საქართველოში წარმოებულ თაფლსაც. ერთი შეხედვით უწყინარი პროდუქტი, როგორც აღმოჩნდა, იმ მკაცრად კონტროლირებად პროდუქტთა სიაშია, რომელსაც სახემწიფო კონტროლი დაუწესდა...

–გასული წლის ბოლოს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე, რომელიც მიზნად ისახავს თაფლის წარმოების, გადამუშავების, დისტრიბუციის ეტაპებზე რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრას. "თაფლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი" სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებით დაკომპლექტებულმა სამუშაო ჯგუფებმა საერთაშორისო სტანდარტებისა და მოთხოვნილების გათვალისწინებითა და ევროკავშირის კანონმდებლობაზე დაყრდნობით შეიმუშავა. რეგლამენტი 1 ივლისიდან შევიდა ძალაში,რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან, ბიზნესოპერატორი ვალდებულია ,ბაზარზე განათავსოს მხოლოდ ჯანმრთელი ფუტკრისაგან მიღებული თაფლი,რომელიც გამოსული იქნება ფუტკრის ინფექციური დაავადებების მხრივ კეთილსაიმედო მეურნეობიდან. მკაცრად გაკონტროლდება ვეტერინარული პრეპარატების მოხმარება, დოზები და ვადები, ბაზარზე განთავსებული თაფლის უვნებლობა და ეტიკეტზე დატანებული ინფორმაციის შესაბამისობა რეალობასთან, თაფლში დამატებითი დანამატებისა და სხვა საკვები ინგრედიენტების არსებობა. სარეალიზაციო თაფლზე კონტროლს სურსათის ეროვნული სააგენტო განახორციელებს. დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში კი გატარდება შესაბამისი სანქციები, რაც მიმართულია მომხმარებელთა ინტერესებისა და შესაბამისად ადგილობრივი ბაზრის ფალსიფიკაციისაგან დასაცავად და ქართული თაფლის ექსპორტის სტიმულირებისათვის ევროკავშირის ბაზარზე.

თ. ჯავახიშვილი

C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში შიდა ქართლიც ჩაერთო

საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტი დავით სერგეენკო შიდა ქართლს სტუმრობდა. პრესკონფერენციაზე C ჰეპატიტის აღმოფხვრის პროექტის მიმდინარეობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ დღეის მდგომარეობით, მკურნალობის კურსს გადის 3045 პაციენტი.

პროგრამაში დარეგისტრირებულია 10 000-მდე პაციენტი. მინისტრის ცნობით, პროგრამაში ჩართულ კლინიკებს გორის სამხედრო ჰოსპიტალი დაემატა, რომელმაც აქტივობა გააფართოვა და მხოლოდ სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობით არ შემოიფარგლება.

ჯანდაცვის სამინისტრო გორის ჰოსპიტალს ფიბროსკანს დროებით მმართველობაში გადასცემს. სამინისტროს მონიტორინგის ჯგუფი გორის ჰოსპიტალში მოსამზადებელ სამუშაოებს ატარებს. ადგილზე დამონტაჟდება ვიდეოკამერებიც.

ამასთან, მინისტრის ინფორმაციით, დღეის მდგომარეობით, მკურნალობის "ჩაწყობისა" და მაღალი საბაზრო ღირებულების მედიკამენტის გადაყიდვის არც ერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა.



დავით სერგეენკოს განცხადებით, სექტემბრის შუა რიცხვებში სამინისტრო საზოგადოებას საქართველოში C ჰეპატიტის ავადობის განახლებულ სურათს გააცნობს. ბოლო კვლევა 2002 წელს, მხოლოდ თბილისში ჩატარდა. ახალი კვლევა კი მთელი საქართველოს მასშტაბით ჩატარდა. მინისტრის ცნობით, წინასწარი მონაცემები, სამწუხაროდ, ისევ სავალალოა, საქართველო ამ ავადობის მიხედვით მსოფლიოს პირველ სამეულში რჩება.

"თუ შეიძლება ასე ითქვას, მართლაც სულზე მოგვისწრო ამ პროექტმა, რომ ჩვენს მოქალაქეებს დავეხმაროთ", – დასძინა დავით სერგეენკომ.

სენსაციური აღმოჩენა

2700 წლის წინ საქართველოში დამწერლობა არსებობდა

გრაკლიან გორაზე (კასპის რაიონი) აღმოჩენილი ახალი არტეფაქტი შეცვლის არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიო დამწერლობის ისტორიის გარკვეულ ეტაპს.

თსუ-ის ინფორმაციით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი უნიკალური წარწერა სრულიად გამორჩეულ, ინდივიდუალურ დამწერლობას მიეკუთვნება, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. გრაკლიანი გორის გათხრების შედეგად დაფიქსირდა ნაყოფიერების ღვთაებისადმი მიძღვნილი ძვ.წ. VII საუკუნის ტაძარი ორი საკურთხევლით. საკურთხევლის ორივე პოსტამენტზე იკითხება ჯერჯერობით უცნობი დამწერლობის ტექსტები. ახალი აღმოჩენით დასტურდება, რომ 2700 წლის წინ საქართველოს ტერიტორიაზე დამწერლობა გამოიყენებოდა. ამ ფაქტმა და ადრე აღმოჩენილმა მასალებმა, შესაძლოა, ძვ.წ. VII-VI საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის ისტორიული ცნობებიც შეცვალოს.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მიხეილ გიორგაძის განცხადებით, "გრაკლიანი გორის კვლევის პროცსში ახალი აღმოჩენა დაფიქსირდა. ეს არის ძველი წელთაღრიცხვის მე-7 საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევლის პოსტამენტზე გაკეთებული წარწერა"

"ეს უნიკალური აღმოჩენაა, რადგან საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700-წლიან ისტორიას ცხადყოფს. დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფაქტი არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიოს მასშტაბით უდიდეს ინტერესს გამოიწვევს. აქ ტურისტული ინფრასტრუქტურა - ნახევრად ღია მუზეუმი ეწყობა, რომელიც საშუალებას მისცემს ყველა მსურველს ძალიან საინტერესო არქეოლოგიური გათხრები დაათვალიეროს".

არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, თსუ-ის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ახალაღმოჩენილ არტეფაქტებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

მისი თქმით, "წარწერა, რომელიც თსუ-ის ექპედიციამ აღმოაჩინა გრაკლიან გორაზე, არის განსაკუთრებული მნიშვნელობის, მას ანალოგი არ მოეპოვება.

"რაც ყველაზე მთავარია, ის განეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის მეშვიდე საუკუნეს, ანუ საქართველოში დამწერლობის ისტორია უკვე ითვლის 2700 წელს. ამ აღმოჩენით საქართველო შევიდა იმ უზარმაზარ ცივილიზაციების ელიტაში, რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ ათასწლეულების მანძილზე. ეს დამწერლობა აღმოჩნდა ტაძარში, რომელიც საკმაოდ კარგად არის შემონახული, ამ ტაძარში გამართულია 2 საკურთხეველი და ორივე საკურთხეველზე არის წარწერა აღმოჩენილი. ერთ მათგანზე, რომელიც დასავლეთითაა, არის რამოდენიმე ასო გამოყვანილი თიხით და მეორე საკურთხევლის პოსტამენტი მთლიანად არის დაფარული წარწერით", - განაცხადა ლიჩელმა.

თსუ-ის პროფესორის განცხადებით, "წარწერა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ცდება საქართველოს მეცნიერების შესწავლის ფარგლებს და საერთაშორისო კვლევის საგანი გახდება. ახალი აღმოჩენა მთლიანად შეცვლის მსოფლიო დამწერლობის ისტორიის ერთ-ერთ მონაკვეთს."

"გრაკლიან გორაზე არქეოლოგიური გათხრების შედეგად ქვის ხანიდან ანტიკურ პერიოდამდე საზოგადოების განვითარების 300 000-წლიანი უწყვეტი ციკლი დადასტურდა. სხვადასხვა პერიოდის 10 ფენის გათხრის შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები - პირველყოფილი ადამიანების სამუშაო იარაღები, გვიანდელი პერიოდის საკულტო დანიშნულების ნივთები და ფარმაცევტული ხელსაწყო - ე.წ. სპატულა, რომელიც წამლების, ხსნარების შესარევად გამოიყენებოდა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მომცემია. არქეოლოგებმა საინტერესო არქიტექტურული სურათი მიიღეს: იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი ერთმანეთზე მიჯრით მიდგმული შენობების ერთი კვარტალი.

უმნიშვნელოვანესი აღმოჩენაა ძვ. წ. IV ათასწლეულის საბეჭდავები, რომლის ანალოგი სამხრეთ მესოპოტამიაში, ურუქშია აღმოჩენილი; ძვ.წ. V-IV საუკუნეებით დათარიღებული ოქროს დისკო, რომლის ერთადერთი ანალოგი არსებობს ქ. სუზაში (ირანი).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა აღმოჩენილი რამდენიმე საკულტო ოთახი. მათ შორის საკულტო წისქვილი - 3 კონსტრუქციის ხელსაფქვავი, რომელშიც წმინდა ფქვილი იფქვებოდა. წმინდა ფქვილით ღმერთებისთვის შესაწირ პურს აცხობდნენ. მსოფლიოში არ მოიპოვება გრაკლიან გორაზე აღმოჩენილი ტაძრის საკურთხევლის ბაქნის ანალოგი, რომელიც დიდი დედის კულტთან არის დაკავშირებული. დიდი დედა, იგივე ღმერთების დედა საკურთხეველთანაა გამოსახული", - ნათქვამია თსუ-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გრაკლიან გორაზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არქეოლოგებმა გათხრები 2007 წელს დაიწყეს, სადაც თსუ-ის სტუდენტებისთვის სამეცნიერო-საველე პრაქტიკის ბაზა ჩამოყალიბდა.

ნადირობის სეზონი გაიხსნა

ერთად ვებრძოლოთ ბრაკონიერებს

დადგა აგვისტოს მესამე დეკადა და დადგა ის საოცარი დრო, რომელსაც ნადირობის მოყვარულნი ასე მოუთმენლად ელიან წლიდან-წლამდე –ნადირობის სეზონი. ნამდვილი მონადირისთვის ესაა პერიოდი, რომელიც აღსავსეა ათასგვარი შთაბეჭდილებებით და ბუნებასთან უშუალო კონტაქტით. თუმცა, არის მონადირეთა კატეგორია, რომელთა ხელით უსასტიკესად ნადგურდება საქართველოს ფაუნა. ისინი არ დაგიდევენ არავითარ კანონს, არ ემორჩილებიან წესებს და უმოწყალოდ ჟლეტენ ნადირ-ფრინველს. ბრაკონიერობა იმდენად გავრცელებული სენია საქართველოში, რომ ამისგან, ფაქტობრივად, საქართველოს არცერთი კუთხე არაა დაცული. სამწუხაროდ, არც ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორია „განიცდის“ მათ ნაკლებობას. ის კი არა, „მეთევზეობის სფეროში“ ლიდერებიც კი ვართ ამ მხრივ და ათეული წლებია, მავანთა ლობირების წყალობით, დღისით, მზისით ჩვენს დედა-მდინარეზე ნებისმიერ დროს ნახავთ ნავტიკით „მოსეირნე“ ბრიგადებს (რატომღაც ასე ეძახიან ცალკეულ ჯგუფებს ბრაკონიერები), რომლებსაც ხელთ დენის ხელსაწყოები უპყრიათ და დიდი თევზებით დაწყებული, პატარა ლიფსიტებით დამთავრებული, ყველაფერ ცოცხალს ანადგურებენ. ასე ხდება წელიწადის ნებისმიერ დროს. ახლა ნადირობის სეზონი გაიხსნა და არც გადამფრენ ფრინველებს ადგას კარგი დღე. ბრაკონიერთა „გამომგონებლობას“ ხომ საზღვარი არ აქვს. ტექნიკის საოცარი პროგრესით მათაც ისარგებლეს და ფრინველებს ხელოვნურად მოწყობილი ელექტრონული სატყუარებით – ე.წ. „მანოკებით“ შეუტიეს. წარმოიდგინეთ ეს საცოდავი გადამფრენი ფრინველი, რომელსაც, რომელიღაცა ადგილზე, მათი „ლიდერი“ ეძახის (სინამდვილეში ელექტრომატყუარა) და ისინი მთელი გუნდი, იქ გროვდებიან. ბრაკონიერებსაც მეტი რა უნდათ – იწყებენ უმოწყალო ჟლეტას და ზოგჯერ მათი ნადავლი (თითოეულს) --- ფრთასაც კი სცილდება. არა, ეს არაა ნადირობა. ეს ჩვენი ფაუნის პირდაპირი და მიზანმიმართული მკვლელობაა. რა თქმა უნდა, ბრაკონიერებს ებრძვის სახელმწიფო, მაგრამ ჯერ-ჯერობით მკვეთრი შედეგი რომ არ ჩანს, ესეც ფაქტია. გამოსავალი მხოლოდ ერთია – მთელი საზოგადოება უნდა დავირაზმოთ მათ წინააღმდეგ და, პირველ რიგში, სწორედ კეთილსინდისიერი მონადირეები, რომლებიც ხშირად ხდებიან ასეთი ბრაკონიერობის თვითმხილველნი. სხვაგვარად ამ სენს დიდი ხანი ვერ მოვერევით. სხვაგვარად ჩვენ მხოლოდ მკვდარ ფაუნას დავუტოვთ ჩვენს შვილებს.

გ. მაღრაძე

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,

მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe 2015@.gmail.com საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“ ხაშურის ფილიალი, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიში GE80LB0115114434590001.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.